world skills international

ინოვაციური

განუმეორებელი

სანდო

შთამაგონებელი

www.worldskills.org

ინოვაციური

განუმეორებელი



სანდო



შთამაგონებელი

WorldSkills International-ის წევრი ქვეყნები:

არგენტინა, ავსტრალია, ავსტრია, ბარბადოსი, ბელგია, ბრაზილია, ბრუნეი, კანადა, ჩინეთი, კოლუმბია, ხორვატია, დანია, ეკვადორი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჰონკონგი, უნგრეთი, ისლანდია, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ირლანდია, სამხრეთ ტიროლი, იტალია, იამაიკა, იაპონია, კორეა, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მაკაო, მალაიზია, მექსიკა, მაროკო, ნამიბია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, ომანის პარაგვაისთან ფილიპინები, პორტუგალია, რუსეთი, საუდის არაბეთი, სინგაპური, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შრილანკა, შვედეთი. შვეიცარია, ჩინეთის ტაიბეტი, ტაილანდი, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, ვენესუელა, ვიეტნამი

WorldSkills „უფრო მეტი, ვიდრე მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური შეჯიბრი პროფესიულ უნარებში“

WorldSkills International -ი არის უნიკალური, არამომგებიანი, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის მისიაა, თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყოს მსოფლიოში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას იმ მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ, რომელიც პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების მაღალი სტანდარტების განვითარებას შეაქვს ეკონომიკურ აღმავლობასა და პირად კეთილდღეობაში. WorldSkills International დაარსდა 1950 წელს, რომელიც ამჟამად აერთიანებს 61 წევრ ორგანიზაციას და სტაბილურად ვითარდება. ესაა შესანიშნავი ქსელური რესურსი წევრი სააგენტოებისა და იმ ორგანიზაციებისა თუ პირებისათვის, რომლებიც თავიანთ ქვეყანასა თუ რეგიონში ჩაბმულნი არიან პროფესიული განათლების განვითარების საქმეში.

WorldSkills International-ი იყენებს მოწინავე ვებ და პროგრამულ ტექნოლოგიებს იმისათვის, რათა წევრი ორგანიზაციებისა და ფართო აუდიტორისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია პროფესიული უნარების სტანდარტების, კონკურსებისა თუ სპეციალისტებისათვის გამართული სადისკუსიო ფორუმების შესახებ.

დაინტერესებულ პირებს საიტზე: www.worlskills.org შეუძლიათ გაეცნონ ორგანიზაციის 60-წლიან ისტორიასა და მისიას, მის წევრებს, დელეგატებსა და გლობალური მრეწველობის პარტნიორებს, მოიძიონ მეტი ინფორმაცია კონკურსებისა და ღონისძიებების შესახებ, გაეცნონ უნარებისა და ხარისხის სტანდარტებს 45-ზე მეტ ქვეყანაში/რეგიონში და ზოგიერთ პირადი წარმატების ისტორიასაც.

WorldSkills როგორ ხორციელდება?

WorldSkills International-ი თავისი მისიის შესასრულებლად მთელ მსოფლიოში მოღვაწეობს. პროგრამის ძირითადი საქმიანობაა კონკურს WorldSkills-ის, მსოფლიოს ყველაზე ფართომასშტაბიანი შეჯიბრი უნარებში, ჩატარება, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება რომელიმე წევრი ორგანიზაციის ქვეყანაში/რეგიონში. კონკურსი ხელს უწყობს უნარების მსოფლიო დონის სტანდარტების დამკვიდრებას 45-ზე მეტ სფეროში, დაწყებული ავეჯის წარმოებითა და დამთავრებული ვებდიზაინით.

ოთხი საკონკურსო დღის განმავლობაში 61 წევრი ქვეყნიდან/რეგიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები სცდიან თავიანთ შესაძლებლობებს მკაცრი საერთაშორისო სტანდარტებით. უმაღლესი ჯილდოებია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. ღონისძიება წარმოუდგენლად მასშტაბურია. 1000-მდე კონკურსანტის პროგრესს ყურადღებით აკვირდება რამდენიმე ასეული ათასი მაყურებელი, რომელთა შორის არიან მთავრობის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, მასწავლებლები, ინსტრუქტორები და ექსპერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

კონკურსში მონაწილე თითოეული ახალგაზრდისთვის ეს არის ცოდნის ფასდაუდებელი და უნიკალური გამოცდილება. ბევრი მათგანი საკუთარ ქვეყანაში/ რეგიონში დაბრუნების შემდეგ თავისი პროფესიის ღირსეული წარმომადგენელი ხდება და ხელს უწყობს პროფესიულ განათლებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

WorldSkills
რას გთავაზობთ წევრობა?

იყავით პროფესიული უნარების სამომავლო მსოფლიო პოლიტიკის ფორმირების სათავეებთან
WorldSkill international–ი პოლიტიკის შემმუშავებლებს სთავაზობს შანსს, შეხვდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელ თანამოაზრე ექსპერტებს და მსოფლიო მნიშვნელობის კომპანიების წარმომადგენლებს იმ ძირითად საკითხებზე სასაუბროდ, რომლებიც გავლენას ახდენენ პროფესიულ განათლებაზე, რათა მათ გამოავლინონ სამომავლო პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობები.

შეადარეთ თქვენი პროფესიული განათლების სისტემა დანახეთ რა მუშაობს რეალურად
WorldSkill international–ი გთავაზობთ შანსს, გამოსცადოთ და შეადაროთ თქვენი ქვეყნის/ რეგიონის პროფესიული განათლების სისტემა სხვებს და დარწმუნდეთ, რომ თქვენი სისტემის სტრატეგია შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკისა და ბიზნესის მოთხოვნებს.

გაუზიარეთ საუკეთესო გამოცდილება
WorldSkill international-ი გთავაზობთ იდეებისა და გამოცდილების გაზიარების შანსს. ასევე, ქსელში თანამშრომლობას, შეჯიბრებებისა და შეხვედრების მეშვეობით კონტაქტების დამყარებას.

WorldSkills
რატომ უნდა გავხდეთ პარტნიორი?

სულ უფრო მეტი ორგანიზაცია ხედავს სარგებელს WorldSkills International-თან პარტნიორობით, რაც მოიცავს:
- მაღალკვალიფიციური, წარმატებული ახალგაზრდების მიღწევებთან ასოცირების შანსს;
- განვითარებაზე ორიენტირებული საერთაშორისო ორგანიზაციის 58 წევრთან თანამშრომლობის უნიკალურ შესაძლებლობას;
- მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების უზრუნველყოფის მიმართ პასუხისმგებლობის წარმოჩენის შანსს და მუშაობას წარმატებულ ახალგაზრდებთან - სფეროს მომავალ ლიდერებთან;
- მსოფლიო კლასის ექსპერტებთან და ლიდერებთან ქსელში თანამშრომლობის შესაძლებლობას.

,,WorldSkills International (WSI)–ის მისიის მისაღწევად მთელ მსოფლიოში ვაღვივებთ ახალგაზრდების ინტერესს პროფესიების მიმართ. ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით WSI -ს უდიდეს პოტენციალს ბიენალე კონკურსების ფარგლებს გარეთ. სწორედ ამიტომ გავაერთიანეთ ჩვენი ძალები პროფესიულ განათლებაში დაინტერესებულ პირთა ძლიერი ქსელის შესაქმნელად. შედეგი ,,ყველა მოგებულიას“ პრინციპზეა დამყარებული, საიდანაც სარგებელს ნახულობენ ახალგაზრდები, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკა და მრეწველობის პარტნიორები. ჩვენ ერთად ხელს ვუწყობთ მაღალკვალიფიციური, კარგად მომზადებული სამუშაო ძალის შექმნას” .

Global Industry Partner-ის დებულება

WorldSkills
გლობალური მრეწველობის პარტნიორები

Autodesk
CISCO
FESTO
FLUKE
LINCOLN ELECTRIC
SAINT-GOBAIN
SAMSUNG
SIEMENS
WÜRTH

პროფესიული უნარების განვითარების საქმეში ინვესტირების განხორციელებისათვის მსოფლიოში არასდროს ყოფილა ისეთი შესაფერისი დრო, როგორიც დღესაა. მსოფლიოს მასშტაბით პროფესიული უნარების სტანდარტების ამაღლების მიზნით WorldSkill–ში ჩართულობა უზრუნველყოფს ეკონომიკის გაძლიერებას. ჩვენი ახალგაზრდობის ნიჭიერების წარმოჩინებით შესაძლებლობა გვეძლევა შთავაგონოთ მომავალი თაობებს, პატივი სცენ პროფესიულ კარიერას და დააფასონ საკუთარი მიღწევები.

სიმონ ბარტლი, WorldSkills Internationational-ის პრეზიდენტი

თანამედროვე საზოგადოება ვერ იცხოვრებს მაღალი ხარისხის პროფესიული უნარების გარეშე.

შეგიძლიათ დაუშვათ ის, რომ მხარი არ დაუჭიროთ WorldSkill -ს.

WorldSkills International
სად შემიძლია ვნახო ეს რეალურად მოქმედი სახით?

42nd WorldSkills Competition
Leipzig Germany, 2-7 July 2013

43rd WorldSkills Competition
Sao Paulo, Brazil, 2015

დამატებითი ინფორმაციისათვის ამ საერთაშორისო
მოვლენებისა და მრავალი სხვა ეროვნული
თუ რეგიონული ღონისძიებების შესახებ
მთელს მსოფლიოში შეგიძლიათ იხილოთ
WorldSkills International-ის ვებგვერდი.

www.worldskills.org

WorldSkills International Secretariat
Keizersgracht 62-64
1015 CS Amsterdam
The Netherlands

Phone +31 23 531 1071
Fax +31 23 531 0816
Email secretariat@worldskills.org